# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# ბიუროს სხდომის

# ო ქ მ ი № 3

„12" თებერვალი 2019 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გიგა ორკოდაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი;
საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სოფიო ოხანაშვილი.

## <u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

2. ფრაქცია „ძლიერი სოფელი" დაფუძნების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, ტ.დარეჯანიშვილმა,

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოში მომზადებულია საკრებულოს რეგლამენტის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების შესახებ პროექტები, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს შესაბამის კომისიებში.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

2. ს.ს. „სილქნეტთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2.მოისმინეს: ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ დაფუძნების შესახებ.

ნ.ხვისტანმა ბიუროს წარუდგინა სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ დაფუძნების შესახებ.

გადაწყვიტეს: ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს დაფუძნება მიღებულ იქნეს ცნობად და საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიგა ორკოდაშვილი